სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**LEPL GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT**

01-92 05.07.2024

ბრძანება

**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების და დროებითი კომისიის შექმნის შესახებ.**

„ უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინიტრის 2013 წლის 15 ოქტომბრის N 01/745 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის 1 და მე -6 მუხლის 25-ე მუხლის 1-2-3 პუნქტების და 26 მუხლის 2 პუნქტის, აკადემიური კონკურსის ჩატარებისა და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის მე-8 მუხლის 1და 2 პუნქტების, აგრეთვე სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2015 წლის 30 ოქტომბერს (ოქმი N5 )დამტკიცებული საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-20 მუხლის და 21 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

ვბრძანებ

- **გამოცხადდეს კონკურსი ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად მწვრთნელთა ფაკულტეტის შემდეგ კათედრებზე:**

1. პედაგოგიკის, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის კათედრაზე საგანში:
- **ზოგადი და სპორტის სოციოლოგია - 1 საშტატო ერთეული.**

2. ფიზიკური აღზრდის და სპორტის თეორიის, მეთოდიკის და ისტორიის კათედრაზე საგნებში:
- **ფიზიკური აღზრდის თეორია,მეთოდიკა და სპორტული წრთვნის საფუძვლები- 1 საშტატო ერთეული.**
- **სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორია- 1 საშტატო ერთეული.**

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040

- სასწავლო უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3(სამი) წლის სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.
- ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულ იქნება პირი, რომელიც სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 28 თებერვლის N 01-27 ბრძანებით დამტკიცებული „ საკონკურსო კრიტერიუმები აკადემიური პერსონალისათვის“ შესაბამისად დააგროვებს მინიმუმ 120 ქულას.

3. კონკურსი გამოცხადდეს 2024 წლის 8 ივლისს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 9 აგვისტოდან 2024 წლის 23 აგვისტოს ჩათვლით, ყოველდღე 10:00 დან 15:00 საათამდე.

4. საბუთების განხილვა მოხდეს 2024 წლის 26 აგვისტოდან 2024 წლის 2 სექტემბრის ჩათვლით.

5. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს 2024 წლის 3 სექტემბერს შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდე: www. Sportuni.edu.ge.

6. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს 2024 წლის 4 სექტემბერს.

**კონკურში მონაწილე კანდიდატებმა უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:**

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- CV
- დიპლომის ასლი;
- ცნობა ნასამართლობის შესახებ („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება)"
- სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი, სათანადოდ დამოწმებულ ასლთან ერთად;
- ორი ფოტოსურათი 3X4 ;
- სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსი, რომლის წაყვანასაც გეგმავს კონკურსანტი სასწავლო უნივერსიტეტში, როგორც ნაბეჭდი ისე ელექტრონული ვერსია.
- ბოლო 5 წელიწადში გამოქვეყნებული შრომების ნუსხა;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არანაკლებ 3 წელი)
- საკონკურსო მიმართულების შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (კონკურსანტის გადაწყვეტილებით) , რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო საქმიანობას, გამოქვეყნებული ბოლო 5(ხუთი) წლის განმავლობაში საერთაშორისო ციტირების ან რეცენზირებადი ინდექსის მქონე ჟურნალი. ბეჭდურ შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას ჟურნალის პირველი გვერდისა და ტექსტის ქსეროასლი, რომლის დედანთან შესაბამისობას დაამოწმებს საკონკურსო კომისია ადგილზე, ხოლო ელექტრონულ ჟურნალში გამოქვეყნებულის შემთხვევაში -ონლინე ვერსის.

- კონკურსანტს უფლება აქვს კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან 2 დღის განმავლობაში შეიტანოს განცხადება /საჩივარი საკონკურსო კომისიაში. (ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება).
- კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი იხილეთ ვებგვერძე ( www sportuni.edu.ge).

კონკურსის შედეგების შეჯამების მიზნით შეიქმნას დროებითი საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1.გიორგი ზუბიტაშვილი-პროფესორი- კომისიის თავჯდომარე
2.ქეთევან ქობალია- პროფესორი -საკონკურსო კომისიის წევრი
3.მარიამ პაპიაშვილი-ასოცირებული პროფესორი- საკონკურსო კომისიის წევრი
4.ნათელა გაგნიძე- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი-საკონკურსო კომისიის მდივანი

- დაევალოს საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების გაცნობა ყველა სტრუქტურული ერთეულებისათვის და შესაბამისი ფაკულტეტისთვის.
- ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
- ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64.

უნივერსიტეტის რექტორი.
პროფესორი ტრისტან გულბიანი